



## სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში

კვლევის ავტორი: ეკა აღდგომელაშვილი

პერიოდი: 1 მაისი- 21 მაისი, 2011

### შესავალი

გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე საჯარო საუბარი ქართულენოვან მედია სივრცეში მხოლოდ 90-იანი წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. საბჭოთა პერიოდში არა თუ „განსხვავებულ“ სექსუალურ ქცევაზე/იდენტობაზე, არამედ კულტურის მიერ დაშვებულ სექსუალობაზე საუბარიც კი მკაცრად იყო რეგლამენტირებული და მკაცრ იდეოლოგიურ კონტროლს ექვემდებარებოდა. საბჭოთა რეჟიმის მიერ შექმნილი მითი ჰომოსექსუალობის დასავლური წარმოშობის შესახებ, სხვა საბჭოურ მითებთან ერთად, ინერციით საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და სექსუალობაზე ტაბუს მოხსნის შემდეგაც, 90-იანი წლების ქართულენოვან პრესაში ჰომოსექსუალობა სწორედ ამ კონტექსტში განიხილებოდა.

1998 წლიდან ნელ-ნელა იწყება ჰომოსექსუალის/ჰომოსექსუალობის, როგორც „უცხოს“ ტრანსფორმაცია „ავადმყოფ“ „ჩვენად“. ჰომოსექსუალობის „პათოლოგიზაციის“ პროცესში, რომელიც მედიაში, მოგვიანებით „სოციალურ დევიაციად“ გადაიქცა და კიდევ უფრო გაამყარა საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობები.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემის პოლიტიზაციის კვალდაკვალ, „არატრადიციული სექსუალობა“ პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გახდა. 1998-2003 წლებში, პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების პარალელურად, შეიქმნა მითი „ცისფერთა შეთქმულების შესახებ“, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავდნენ. 2005-06 წლების მედია ანალიზმა აჩვენა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პანკა „ცისფერთა შეთქმულების“ შესახებ ჩაცხრა. სტატიებმა ჰომოსექსუალების/ჰომოსექსუალობის შესახებ, სერიოზული გამოცემების პირველი გვერდებიდან ნელ-ნელა „ყვითელი პრესის“ ფურცლებზე გადაინაცვლა. თუმცა, მოგვიანებით, ქვეყანაში სოციალური-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებისთანავე, მედიაში ჰომოფობის ახალი ტალღა დაიწყო.

მედია კვლევის შედეგები, რომელიც 1998-2006 წლებს მოიცავდა შემდეგი სურათი გამოავლინა:

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა ჰომოსექსუალობას, არამედ „არატრადიციული“ სექსუალობის საზოგადოებრივ პრობლემად ქცევის პროცესს. შესაბამისად, ისინი მეტ ადგილს უთმობდნენ ზოგადი ხასიათის საუბრებს ჰომოსექსუალობაზე მოწვეული ექსპერტების საშუალებით. მიმართავდნენ დისკურსის მონოპოლიზების პრაქტიკას და ნაკლებად აძლევდნენ შანსს ლგბტ ადამიანებს თავად მოეხდინათ საკუთარი თავის რეპრეზენტირება.

2. ანალიტიკური ხასიათის პუბლიკაციებში არაპეტეროსექსუალური ქცევა ძირითადად სამედიცინო ასპექტში განიხილებოდა.

3. არ ხდებოდა ჰომოფობის, როგორც სოციალური პრობლემის იდენტიფიკაცია.

4. ლგბტ ადამიანებისათვის თვითრეპრეზენტაციის საშუალებას მხოლოდ ყვითელი პრესა იძლეოდა, მაგრამ მათი რესპონსურის უმეტესობა ნეგატიურად იყო წარმოჩენილი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოჩენილი ტიპაჟები მხოლოდ აძლიერებდა ჰომოსექსუალის ურყოფით ხატს.

რაც შექება 2007-2010 წლების მედია-ანალიზი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა, ცალკეულ ტენდენციებზე საუბარი უკვე შესაძლებელია.

1. წინა პერიოდთან შედარებით, მკვეთრად გაიზარდა ნეგატიურ შეფასებათა პროცენტული მაჩვენებელი. თუმცა, წერილობურ შეფასებათა შემცირების ხარჯზე გაჩნდა პოზიტიური შეფასებებიც. წერილობურ შეფასებათა პროცენტული მაჩვენებლის კლების ხარჯზე მკვეთრად ნეგატიური/პოზიტიური ხასიათის შეფასებათა მატება ერთი მხრივ, შეიძლება უკავშირდებოდეს ლგბტ ჯგუფის ხილვადობის გაზრდას. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ მოვლენებიც, რომელიც დღეს ქვეყანაში ხდება. მძიმე საბჭოური მემკვიდრეობა და "ტრადიციულ" ფასეულობებთან დაბრუნების მცდელობა მხოლოდ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკური კრიზისის სახით როდი იჩენს თავს. ფასეულობათა გადაფასება საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს. შეფასებათა ამგვარი გადანაწილება ერთგვარად აირევლავს სწორედ ამგვარი კრიზისეული პერიოდისათვის დამახსასიათებელ ფასეულობათა და ღირებულებათა პოლარიზაციის პროცესს.

2. შეიცვალა ნეგატიურ შეფასებათა კონტექსტი - ჰომო/ბი/ტრანსექსუალობა განიხილება, როგორც მორალური პრობლემა. თუკი 1999-2003 წლებში ჰომოსექსუალობის "პრობლემად" ქცევას მეტ-ნაკლებად რაციონალური არგუმენტებით ცდილობდნენ (მაგ. არსებული ჰომოფობიური მოსაზრებების გასამყარებლად მედია მიმართავდა მისთვის სასურველ ექსპერტებსა და სპეციალისტებს), დღეს "განსხვავებული" სექსუალობის პრობლემატიზაციისათვის საკმარისად მიიჩნევა "შეუთავსებლობა/ წინააღმდეგობა ქართულ და მართლმადიდებლურ ტრადიციებთან". შესაბამისად იცვლება მობილიზაციური სტრატეგიებიც, რაც ჰომოსექსუალობის პრობლემატიზაციისათვის გამოიყენება (საჯარო დისკურსის პურიფიკაცია). დისკურსის ამგვარი ცვლა უშუალოდ დაკავშირებულია ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის გავლენის ზრდასთან ქვეყანაში და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მის აქტიურ ჩარევასთან.

3. ლგბტ თემატიკა აქტუალური ხდება ელექტრონული მედიისთვისაც; ამერიკელი მეცნიერებმა, რომელიც სხვადასხვა უმცირესობის რეპრეზენტირებას სწავლობდნენ ტელევიზიის მეშვეობით ოთხი ძირითადი ქრონოლოგიური სტადია გამოყვეს: მიზუმათება (როცა უმცირესობები და მათთან დაკავშირებული თემები საერთოდ არ ხვდება საჯარო სივრცეში ტელეეთერის მეშვეობით); დაცინვა (როდესაც დომინირებული ჯგუფი საკუთარი იმიჯის უკეთ წარმოჩენას უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთა სტერეოტიპიზაციისა და დამცირების ხარჯზე ახდენს); რეგულირება (უმცირესობათა წარმომადგენელთა წარმოჩენა ხდება მხოლოდ პოზიტიურად. იქნება წარმატებული ადამიანის დადებითი იმიჯი) და პატივისცემა (აღარ ხდება აპელირება განსხვავებულობაზე, ჩნდება პატივისცემა ამ ადამიანების მიმართ და მათ წარმოჩენების ისევე, როგორც დომინირებული ჯგუფის წევრებს). თუ შევეცდებით ამ კრიტერიუმებით შევაფასოთ ქართულ ტელესივრცეში ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალთა რეპრეზენტირების პროცესი, ადვილი დასანახია, რომ ამ თემებზე ტაბუს მოხსნის შემდეგ, ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში მოქმედი ტელეკომპანიები ვერა და ვერ გასცდნენ მეორე ეტაპს.

აღსანიშნავია, რომ კრიზისეული პერიოდისათვის დამახსასიათებელ ფასეულობათა და ღირებულებათა პოლარიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ქსენოფობიის (მათ შორის

ჰომოფობის), როგორც სოციალური პროლემის იდენტიფიკაციასაც. ბოლო წლებში გაძლიერდა სიძულვილის ენის კრიტიკა როგორც მარგინალიზებული ჯგუფების, ისე თავად მედიის წარმომადგენელთა მხრიდანაც. ტარდება კვლევები, რომლებიც ასახავს მედიაში ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების გაშუქების საკითხებს. მდგომარეობის ასახვის პარალელურად, აღნიშნული კვლევები საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს მედიაში არსებული პრობლემები მრავალეფროვნების გაშუქებასთან დაკავშირებით, სტერეოტიპები, გაშუქების დინამიკა, რაც აადვილებს არსებული სიტუაციის დასამლევად ცალკეული ჟურნალისტებისა და პროფესიული მედია გაერთიანებების ჩართვას (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, მაუწყებელთა საბჭო) პრობლემის გადაწყვეტის საკითხებში.

## მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვების და დამუშავებისას გამოყენებული იქნა როგორც სტატისტიკური, ისე დისკურსიული ანალიზი.

## კატეგორიები

### 1. შეფასება

1.1. დადებითი (ლგბტ ადამიანების პოზიტიური ხატის შექმნა; ჰომოფობიური პოზიციის, ძალადობისა და დისკრიმინაციისაკენ მოწოდებების კრიტიკა; ჰომოფობის წარმოჩენა როგორც სოციალური პრობლემისა; ლგბტ ჯგუფის კონკრეტულ წარმომადგენელზე ჰომოფობის ნეგატიური გავლენის ჩვენება)

1.2. ნეიტრალური

1.3. უარყოფითი (ჰომოფობიური შინაარსის ტექსტების ციტირება კომენტარის ან სარედაქციო შენიშვნის გარეშე, როდესაც ძნელია გამოარჩიო რესპოდენტის ტექსტი ჟურნალისტის მოსაზრებისაგან ან რედაქციის პოზიციისაგან; ლგბტ ადამიანების დამამცირებელ კონტექსტში მოხსენიება (დეჰარმანიზაცია, დეინდივიდუალიზაცია, დამამცირებელი მეტსახელებით მოხსენიება); ლგბტ ადამიანების ნეგატიური ხატის შექმნა (ადამიანების დისკრედიტაციის მიზნით მითითებები მათ კავშირზე სოციალურ დევიაციებთან; ადამიანების არასრულფასოვნების მტკიცება მორალური, ფსიქოლოგიური და სხვ. თვალსაზრისით; ჯგუფის/ ჯგუფის წარმომადგენელის დადანაშაულება საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის მოხდენაში; დადანაშაულება ღალატში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მცდელობაში, დომინირება პოლიტიკის, შოუ-ბიზნესის ან სხვა სფეროში); შეფარული და/ან პირდაპირი მოწოდებები ძალადობისა და დისკრიმინაციისას ისტორიული მაგალითების, ჰომოფობიური პოზიციის იდეოლოგიური, მორალური თუ სხვა რამ მიზეზით გამართლება; უშუალო მოწოდებები ძალადობისაკენ კონკრეტული პირების მითითებით ან ზოგადად, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა წინააღმდეგ და ა.შ.); აქვე გავაერთიანეთ ის შემთხვევებიც, როდესაც ტერმინი/გამონათქვამი უშაულოდ არ უკავშირდება ლგბტ ჯგუფის კონკრეტულ წარმომადგენელს, მაგრამ გამოყენებულია ტექსტში ნეგატიური კონოტაციის შესაქმნელად.

### 2. საუბრის ობიექტი

2.1. სექსუალური ორიენტაცია/გენდერული იდენტობა (ლესბოსელობა, მამაკაცთა ჰომოსექსუალობა, ბისექსუალობა, ტრანსექსუალობა, ჰომოსექსუალობა ზოგადად)

2.2. ლგბტ ჯგუფის კონკრეტული წარმომადგენლები (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ადამიანები)

2.3. პომოფობია (პომოფობია, როგორც სოციალური პრობლემა; პომოფობიური პოზიციის მქონე კონკრეტული პირები ან გაერთიანებები/ინსტიტუციები)

### 3.ადრესანტი (ვინ საუბრობს)

- 3.1. ჟურნალისტი
- 3.2. მკითხველი/მაყურებელი ან შემთხვევით შერჩეული რესპოდენტი
- 3.3. პოლიტიკოსი
- 3.4. რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი
- 3.5. საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენელი
- 3.6. ექსპერტი/პროფესიონალი
- 3.7. ლეგბტ ჯგუფის წარმომადგენელი
- 3.8. სხვა (შოუ ბიზნესის წარმომადგენლები, ცნობილი ადამიანები...)

### მონიტორინგის მიზანი

ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალობის რეპრეზენტირების მონიტორინგი ქართულენოვან ბეჭდვით მედიაში 01.05.2011-31.05.2011-ის ჩათვლით.

მონიტორინგისათვის შერჩეული იყო შემდეგი მედია საშუალებები:

#### გაზეთები

1. გაზეთი “რეზონანსი” (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოიცემა კვირაში ხუთჯერ);
2. გაზეთი “24 საათი” (ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);
3. გაზეთი «ალია» (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის კვირაში ორჯერ);
4. გაზეთი “ქრონიკა” (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);
5. გაზეთი “ასავალ-დასავალი” (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);
6. გაზეთი “კვირის პალიტრა” (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);

#### ჟურნალები

1. ჟურნალი “ტაბულა” (გამოდის კვირაში ერთხელ. აქვს ინტერნეტ-ვერსია)
2. ჟურნალი ”თბილისელები” (გამოდის კვირაში ერთხელ. აქვს ინტერნეტ-ვერსია)


მასალის დამუშავებისას, კვლევაში ჩართული იქნა ჟურნალ-გაზეთების ბლოგებზე გამოქვეყნებული სტატიებიც. მონიტორინგის შედეგებში ასევე ჩართულია რადიო თავისუფლების 1 სიუჟეტი და ნეტგაზეთის სტატია, რომელიც პომოფობის საერთაშორისო დღეს - 17 მაისს უკავშირდება.

მთლიანობაში გაანალიზებულ იქნა 36 სტატია და საინფორმაციო შეტყობინება (20 საგაზეთო პუბლიკაცია, 11 – ჟურნალის სტატია); 1 ინტერნეტ-გამოცემა, 1 რადიოინტერვიუ.

### მონიტორინგის შედეგები

#### 1. მონიტორინგის ზოგადი სურათი

შეფასებათა საერთო სურათი ასე გამოიყურება:




ნახ.1. შეფასებათა გადანაწილება სტატიების რაოდენობის მიხედვით

მონიტორინგის პროცესში საკვლევ თემასთან დაკავშირებული სტატიების საერთო რაოდენობა შეადგენს 38. სტატიების რაოდენობის მიხედვით ნეგატიურ შეფასებათა რიცხვი (24) მნიშვნელოვნად აჭარბებს პოზიტიურ (5) და ნეიტრალურ შეფასებათა რიცხვს (9).

შეფასებათა ამგვარ განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ ჰომოფობიური გამონათქვამები და შეურაცხმყოფელი ეპითეტები აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ დისკურსში (იხ.ქვემოთ)

### 1.1. ნეიტრალური შეფასებები



ნახ.2. ნეიტრალურ შეფასებათა რიცხვი მედია-საშუალებებში სტატიების რაოდენობის მიხედვით (N=9)

თუ გავითვალისწინებთ წინა კვლევის შედეგებს, ნეიტრალურ შეფასებათა 88% მოდიოდა უცხოური პრესიდან გადმობეჭდილ ინფორმაციას უცხოელ შოუ-ბიზნესისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ჰომო/ბი/ტრანსექსუალების შესახებ. ჰომო/ბი/ტრანსექსუალობა წარმოდგენილი იყო როგორც დასავლური ცივილიზაციის მახასიათებელი რამ, რისი მეშვეობითაც ხდებოდა დისტანცირება „განსხვავებული“ სექსუალობისაგან. ამჯერად, ნეიტრალური ხასიათის ინფორმაციებში მოხვდა ის სტატიები, სადაც უბრალოდ ნახსენებია საძიებო სიტყვები, თავად ტექსტის შინაარს კი არა აქვს არც ნეგატიური და არც პოზიტიური კონოტაცია.

## 1.2. პოზიტიური შეფასებები (N=5)

პოზიტიურ შეფასებებები, ლგბტ ადამიანთა პოზიტიური ხატის შექმნის გარდა, მოვიაზრებთ პომობოფიური ტენდენციების კრიტიკასა და მის სოციალურ პრობლემად შეფასების ფაქტებსაც. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში (2007-10) პოზიტიური შეფასებები ძირითადად სწორედ პომოფობისა და პომოფობთა კრიტიკის ხარჯზე გაიზარდა. პოზიტიურ შეფასებად მოვიაზრებთ სხვა ქვეყნების ანტიდისრიმინაციული პოლიტიკის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასაც (მაგ. ჟურნალ „ტაბულას“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ბრაზილიაში ერთსქესიან წყვილებისათვის ახალი უფლებების მიანიჭების შესახებ). 5 სტატიიდან/სიუჟეტიდან 3 ჟურნალ „ტაბულაშია“ გამოქვეყნებული.

2005 წლიდან მოყოლებული 17 მაისი მთელს მსოფლიოში აღინიშნება როგორც პომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. მონიტორინგში ჩართული გამოცემებიდან ამ თემას მხოლოდ „ნეტგაზეთი“ და რადიო „თავისუფლება“ გამოეხმაურა. თუმცა, ამის მიზეზი ქვეყანაში მოქმედი ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების დაბალი აქტივობა უფროა, ვიდრე მედიის „უყურადღებობა“ ამ თარიღის მიმართ. ორივე მათგანი ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობასა და ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლებზე პომოფობის უშუალო გავლენას ეხება.

პომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებას რადიო „თავისუფლების“ დისკუსიის მონაწილეთა გარდა, გაზეთ „ტაბულას“ ინტერვიუც ეხმანება ომბუდსმენთან. თუმცა, ჟურნალისტის მიერ პირდაპირ დასმულ კითხვას გიორგი ტუდუში უფრო განზოგადოებულ კონტექსტში პასუხობს:

”ნინო მაჭარაშვილი: ცოტა ხნის წინ გავრცელდა თქვენი საგანგებო განცხადება, იმედის ეთერში მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრების მიერ ებრაელებზე ხუმრობის შესახებ. თქვენი შეფასებით, ის ანტისემიტურ ხასიათს ატარებდა. სად გადის ზღვარი ხუმრობასა და სიძულვილის ენას შორის? რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობთ, როდესაც გამოხატვის ამა თუ იმ ფორმას სიძულვილის ენად აფასებთ?


გიორგი ტუდუში: როდესაც ხუმრობა ეხება კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და ამ ჯგუფისთვის ყველაზე მტკიცნეულ თემას, ის გადის ხუმრობის ფარგლებიდან. ჩემდა გასაკვირად, ეს ხუმრობა დარბაზმა სიცილით აიტაცა და მაღალი შეფასებაც მისცა. კარგია, რომ ბოდიში მოიხადეს, ეს ნიშნავს, რომ მიხვდნენ, რომ არასწორად მოიქცნენ.

ნ.მ: მსგავსი ფაქტები მედიაში საკმაოდ ხშირია, ხშირია პომოფობიური განცხადებები. რამდენად ხშირად ახდენთ რეაგირებას?

გ.ტ: ძალიან ხშირია. განსაკუთრებით ბეჭდვით მედიაში, სადაც ადამიანს შეურაცხყოფას მისი ეთნიკური წარმომავლობის მოშველიებით აყენებენ. ეს დაუშვებელია. მედიას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს, ის დიდ გავლენას ახდენს სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ასევე მნიშვნელოვანია ამ მხრივ საჯარო მოხელეების ქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებთან აქტიურად ვმუშაობთ და ვცდილობთ აფუხსნათ, რას ნიშნავს უმცირესობის უფლებები და რამდენად დიდია ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჟურნალისტებს აკისრიათ. სამწუხაროდ, გასაკეთებელი მალიან ბევრი რჩება იმისთვის, რომ სასურველი სურათი მივიღოთ. რაღაც შეიძლება ჩვენც გამოგვრჩეს, მეც ტელევიზორთან და რადიოსთან არ ვზივარ დღე და ღამე, თუმცა ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები გვეხმარებიან“.

ჟურნალი „ტაბულა“. 06 მაისი 2011. ნინო მაჭარაშვილი. ინტერვიუ გიორგი ტუდუშთან.

## 1.3. ნეგატიური შეფასებები



ნახ.2 ნებატიური შეფასებების რიცხვი მედია საშუალებებში სტატიების რაოდენობის მიხედვით (N=24)


სტატიების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე ჟურნალი „თბილისელებია“, რაც იმითაცაა გამოწვეული, რომ ამ თემას ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს. ჟურნალ „თბილისელებში“ მონიტორინგის პროცესში მოძიებული მასალების 91% ეხება უცხოეთში მცხოვრებ/მოღვაწე შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც ღიგბუ ჯგუფს მიეკუთვნებიან. მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, როგორც წესი, ჟურნალისტები ყოველთვის ხაზს უსვავენ მათ სექსუალურ ორიენტაციას იმისდა მიუხედავად მოითხოვს თუ არა სტატიის შინაარსი ამის გაკეთებას.

„პრინცი უილიამის ქორწილისთვის ჯორჯ მაიკლიც ემზადება.

სკანდალურად ცნობილი პოპ-შემსრულებელი ჯორჯ მაიკლი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით არის ცნობილი, პრინცი უილიამისა და ქაით მიდლტონის ქორწილისთვის სპეციალური სიმღერის მიძღვნას აპირებს. ამის შესახებ მომღერალმა „ტვიტერის“ სამუალებით ამცნო საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ეს იქნება მისი საჩუქარი სამეფო ოჯახისთვის. უცნობია, მოხვდა თუ არა ჯორჯ მაიკლი დაპატიჟებული სტუმრების სიაში, სამაგიეროდ, უკვე ცნობილი გახდა, რომ სტუმრებს შორის აუცილებლად იქნება სერ ელტონ ჯონი.“

ჟურნალი თბილისელები. 3 მაისი 2011. პოლიტიკური კალეიდოსკოპი. უშანგი რუხაძე

### 1.3.1. დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება



ნახ. 3. დისკურსიმინაციული, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევათა პროცენტული თანაფარდობა მედია საშუალებების მიხედვით (N=54)

საძიებო სიტყვების ერთი ნაწილი, რომელიც გამოიყენება სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის აღსანიშნავად (გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი, ჰომოსექსუალი, ჰომოსექსუალობა, ლგბტ, სექსუალური ორიენტაცია) თავისთავად არ წარმოადგენს წევატიური დატვირთვის მქონე ტერმინებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ნეგატიურ კონტექსტში:

„რეზო ამაშუკელი: საკრებულოში ერთ მერხზე სხედან ვირთხა და თაგვი და მეშინა, კატა არ შეიძაროს შიგ!.. რა გაცინებს, მმაო, შეხედე, სანავვეზე გასიებულ ვირთხას რომ ჰავს და ულვაშებს რომ აცმაცუნებს – სამადაშვილი, ხოლო გვერდით უზის „გეიკლუბებში“ ნაწრურუნები თავი–ახვლედიანი. არ გიფიქრიათ ერთ რამეზე, ხალხო? პირდაპირ ვამბობ ამას, – გეიკლუბებში ნაწრურუნები ახვლედიანი რომ ჩამოგიტანს იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლს, რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს იმ ცეცხლმა?..“

კვირის ქრონიკა #18 (488). "არ გიფიქრიათ ერთ რამეზე, ხალხო?! პირდაპირ ვამბობ ამას, გეიკლუბებში ნაწრურუნები ახვლედიანი რომ ჩამოგიტანს იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლს, რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს იმ ცეცხლმა?..". დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან

„ დიტო ჩუბინიძე (ჟურნალისტი): სოფლის მეურნეობის მინისტრმა – ბაკურ კვეზერელმა „მამალი ძროხები“ „ადმოაჩინა“, რაასაც მოგვიანებით პეტრე ცისკარიშვილიც დაეთანხმა... როგორ ფიქრობთ ეს „ადმოჩენა“ საკაშვილის თავში ხომ არ არის მომზიფებული და მერე ამ ქარაქუცებმა გაიმეორეს? თამაზ წივწივაძე: დიტო, არა მგონა, ქალაქში გაზრდილი ბიჭისთვის აუცილებელი იყოს იმის ცოდნა რომ მამრობითი სქესის საქონელს ხარი ქვია, მდედრობითისას \_ ძროხა! ყოველ შემთხვევაში ვიდრე სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნავდნენ, ამის ცოდნა აუცილებელი არ იყო. დღეს კი, რაკი მთავრობის წევრია და თანაც ამ სფეროში, თანდათან ის მაინც უნდა ისწავლოს, რომ გარდა მდედრობითი და მამრობითი სქესისა, პირუტყვები სხვა გადახრები არ არსებობს! – პედერასტი ხარი (თუ დაკოდილი არაა!) და ლესბოსელი ძროხა, კვეზერელს კი არა, სანახევროდ სოფელში გაზრდილი კაცი ვარ და ჯერ მეც არ გამიგონია!..“

ალია #36 (2591) 12–16.05.2011 . „გაუმარჯვოს ტაშტების რევოლუციას“. დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ თამაზ წივწივაძესთან

ტერმინებს – გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი – ნეიტრალურ კონტექსტში იყენებს ჟურნალი „თბილისელებიც“, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად წერს ამ თემაზე. თუმცა, როგორც წესი, სწორედ ეს მედია საშუალება იყენებს ყველაზე ხშირად სიტყვათშეთანხმებას „არატრადიციული

სექსუალური ორიენტაცია“, რაც თავისთავად ნონსენსია – სექსუალური ორიენტაცია არ შეიძლება იყოს ტრადიციული ან არატრადიციული.

„უცხოეთის ვარსკვლავების პირადი ცხოვრება მუდამ საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების დაკვირვების ქვეშაა, ხოლო, თუ ვარსკვლავი მაღავს ან შემჩნეულია თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაში, მის მიმართ სულაც გაათმაგებულია ყურადღება როგორც ჟურნალისტების ასევე პაპარაცების მხრიდან. თუმცა, არსებობენ ვარსკვლავები, რომლებიც სულაც არ მაღავენ თავიანთ პირად ცხოვრებას და თამამად პოზირებენ ფოტოგრაფების წინაშე არატრადიციული სექსუალური ლტოლვის ობიექტებთან ერთად. გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ჰომოსექსუალურ და ლესბოსურ ვარსკვლავურ წყვილებს...“

...ელენ დე ჯენერისი ამერიკის ყველაზე ცნობილი ლესბო-კერპი, პოპულარული და საყვარელი ტელეწამყვანია, რომელიც სრულიადაც არ მაღავს თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას.

ჟურნალი „თბილისელები“. 23 მაისი 2011. ვისგან ეყოლა შვილი ელტონ ჯონს და ვის დაუკავშირა ბედი ცნობილმა დიზაინერმა ტომ ფორდმა . უშანგი რუხაძე

შეურაცხმყოფელ ლექსიკა (პედერასტი, მესაჯდომე, ცისფერი) ყველაზე ხშირად გაზირებში „ქრონიკა“ (13), „ალია“ (11) და „ასავალ-დასავალი“ გვხვდება.

„რეზო ამაშუკელი: ბადრი პატარკაციშვილს რომ ურიას ეძახდნენ, ეს არ იყო ქსენოფობია და ფაშიზმი?! მაშინ სად იყვნენ და რატომ არ იღებდნენ ხმას ეს თახსირები, ეს სულიერი პედერასტები?! ...ლიბერასტებო, პედერასტებო, ვითომ ძალიან დემოკრატებო, ხურუშიანებო, რომ გახველებთ სუყველას ქვედა სართულებში, შუაზე რომ გაიხეთ, რობიკო სტურუას წამწამს ვერ ჩამოუგდებთ!“

ასავალ-დასავალი #21 (868) 23-29.05.2011. რობიკო სტურუამ ხმამაღლა თქვა ის, რაც ქართველ ხალხს გულში ქონდა და ამას ვამზობ მეც: დიახ, საკაშვილი არის სომეხი და ეს არის არა ქსენოფობია, არამეც ფაქტი! ჯაბა ხუბუა. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან.

„გია ყრუაშვილი: ბოდიში მომითხოვია საზოგადოებისთვის, მაგრამ საქართველოში თუ ამდენი პედერასტი იყო, ნამდვილად არ მეგონა!... სხვათა შორი, არც ის მეგონა, ამ პედერასტებს თუ ამდენი მხარდაჭერი ჰქონდათ...“

ალია #40(2595) 24.05-25.05.211. „პირდაპირ გუბნებით, საქართველო არის განწირული!..“  
დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ გია ყრუაშვილთან

### 1.3.2. ჰომოფობია, როგორც პოლიტიკური დისკურსის ნაწილი

როგორც წესი, სოციალური ფობიები ძლიერდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისის პერიოდში, როგა აუცილებელი ხდება „ზილული მტრის“ ხატის შექმნა. ამგვარი ფობიების არსებობა კარგი ნიადაგია საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისათვის და მას ხშირად იყენებენ როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საკვლევ პერიოდში მედიაში იმ სტატიების რაოდენობების მიხედვით, რომელთაც აქვთ ნეგატიური კონტექსტი და/ან შეიცავენ დისკრიმინაციულ/შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს პირველ-მეორე ადგილს ჟურნალი „თბილისელები“ და გაზირებული „ასავალ-დასავალი“ ინტილებები. თუმცა, ნეგატიური გამონათქვამების სიმძაფრისა და ლგბტ იდენტობის აღმნიშვნელი ტერმინების შეურაცხმყოფელ კონტექსტში გამოყენების სიხშირით ტრადიციულად ლიდერობენ (ვგულისხმობთ წინა წლების კვლევებს) გაზირებული „ქრონიკა“, „ალია“ და „ასავალ-დასავალი“, რომლებიც, ზოგადად გამოირჩევიან სიძულვილის ენის ხშირი პრაქტიკით არა მხოლოდ სექსუალური, არამედ სხვა უმცირესობათა მიმართაც.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული სტატიები ერთნაირადაა გაჯერებული არმენოფონბითა და ჰომოფონბით. კონკრეტულ პერიოდში ამგვარი

სიმბიოზი რობერტ სტურუას მიერ გამოთქმულ ქსენოფობიურ მოსაზრებებს უკავშირდება, რომელსაც დიდი ხმაური მოჰყვა როგორც მედიაში, ისე სოციალურ ქსელებში.

”არნო ხიდირბეგიშვილი: ცენტრალურმა სადაზღვევო სამმართველომ საკმარისად შეისწავლა ქართული მენტალიტეტი და იცის, რომ საქართველოში ყველაზე დიდი კომპრომატი ვიღაცის პედერასტად მონათვლა იყო, გარკვეულ წრეებში კი \_ სომხადაც. საქართველოში აშშ-ის შემოსვლის შემდეგ პედერასტობა ცოდვა კი არა, ღირსება გახდა. რაც შეეხება „სომებს“, იგივე მოხდა, რაც აშშ-ში ზანგებთან დაკავშირდებით \_ მათ „აფროამერიკელები“ ეწოდათ, მაგრამ გარკვეული წრეებისთვის ისეთივე „შავებად“ დარჩნენ...

...”იმედზე” და სხვა ტელეარხებზე მთელი სიუჟეტის განმავლობაში ერთი სიტყვითაც არ უარყოფენ, რომ მიშა სომებია, არამედ გვიმტკიცებენ, რომ საქართველოში სომხობა ცოდვა აღარ არის, რითაც ირიბად კიდევ ერთხელ ადასტურებენ სააკაშვილის სომხურ წარმომავლობას.”

ასავალ-დასავალი #21 (868) 23-29.05.2011. ეს იყო აშშ-ის პირველი დარტყმა პრეზიდენტ  
სააკაშვილზე! ინტერვიუ არნო ხიდირბეგიშვილთან

„რეზო ამაშუკელი: ჩვენი სიდედლით, უყალირობით, მიმტევებლობით და მიუტევებელი გულმავიწყობით თანდათან ყველაფერს ვკარგავთ. იმის მაგივრად, რომ ეს მანქურთები, ეს სულიერი პედერასტები და უმეტესწილად ფიზიკურადაც პედერასტები საქართველოს გაუბედურების გამო ტეხნიკ განგაშს, მსოფლიო მასშტაბის გენიოსის რობიკო სტურუას ერთ სიტყვას გამოყვიდნენ და ცდოლობენ, როგორმე ჩირქი მოსცხონ კაცს, რომლის გამოც ისევე ამაყობს მთელი საქართველო, როგორც თითზე ჩამოსათვლელი რამდენიმე გენიოსით.“

ასავალ-დასავალი #21 (868) 23-29.05.2011. რობიკო სტურუამ ხმამაღლა თქვა ის, რაც  
ქართველ ხალხს გულში ქონდა და ამას ვამბობ მეც: დიახ, სააკაშვილი არის სომები და ეს  
არის არა ქსენოფობია, არამეც ფაქტი! ჯაბა ხუბუა. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან.

წინა წლების მედია-კვლევებმა აჩვენა, რომ ლგბტ საკითხით პრესის დაინტერესება არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებს. 1998-2007 წლის შუალედში შესამჩნევია ჰომოფობიური ტალღის ორი ასეთი პერიოდი – 1999-2002 და 2007 წელს . თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, აღნიშნული სურათი კიდევ უფრო ამყარებს წინა კვლევაში გამოთქმული ვარაუდს, რომ ჰომოფობის პერიოდი მედიაში პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარე ძალაუფლების გადანაწილების პროცესებს ემთხვევა. ამ პერიოდის მასალების თვისობრივი ანალიზი კი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ხდება “არატრადიციული” სექსუალობა პოლიტიკური სპეციალისტების საგანი. საარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად, თემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება, პოლიტიკოსთა შეფასებები მეტ სიმძაფრეს იძენენ, ბრალდებების ადრესანტები კი კონკრეტული პოლიტიკური ძალები ხდებიან.

### 1.3.3. ”რუსეთის აგენტები“ vs ”ლიბერასტები“

საბჭოთა კავშირის ავტორიტარული რეჟიმის საკმაოდ ცალსახა და გამოკვეთილი დამოკიდებულობა განსხვავებულობისადმი ყველაფრის უნიფიცირების მცდელობაში გამოიხატებოდა. განსხვავებულობა აღიქმებოდა არა როგორც მრავალფეროვნების გამოხატულება, არამედ როგორც სახელმწიფოს მონოლითურობის, საზოგადოების ჰომოგენურობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე. სამწუხაროდ, ამგვარი დისკურსი დღესაც აქტუალურია ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში, რაც “უცხოს” რეალური შინაარსის არტიკულაციისათვის საკმაოდ მწირ შესაძლებლობას იძლევა. წინასაარჩევნო პროცესში სწორედ უმრავლესობის სახელით ლაპარაკი და “უცხოს”, „განსხვავებულის“ მტრის ხატად ქვევა წარმოადგენს პოლიტიკური ჯგუფების მთავარ სტრატეგიას.

წინა არჩევნებზე ხელისუფლებისათვის ამგვარი “მტრის” როლს ტერიტორიული “უცხო”, რუსეთი ასრულებდა, რომელიც ემუქრება ქვეყნის მთლიანობას, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ უსაფრთხოებას. შესაბამისად, პოლიტიკური ოპონენტების მარკირებაც „მოღალატეებად“ და „რუსეთის აგენტებად“ ამავე დისკურსში ხდება.

თავის მხრივ, ოპოზიციური ძალები ხელისუფლებისაგან წევატიური ხატის შექმნით ცდილობდნენ ელექტორატის მობილიზაციას. ოპოზიციის ერთი ნაწილის მიერ კონტრ-დისკურსიული პროპაგანდა „ქართველობა—მართლმადიდებლობა—ტრადიციების“ გარშემო ტრიალებს. პოლიტიკური ოპონენტის/ოპონენტების მარკირება ჰომოსექსუალად, დადანაშაულება ჰომოსექსუალობის პროპაგანდაში ამ შემთხვევაში გამოიყენება ერთი მხრივ როგორც გამაძლიერებელი ეფექტი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან „უცხოს“ კონსტრუირების პროცესში და მეორე მხრივ – „უცხოსაგან“ მომავალი საფრთხის გენერალიზებისათვის, რომელიც მთელ ქვეყანას ემუქრება.

„გია ყრუაშვილი: ქართველობა დაიბრუნეთ თქვე უბედურებო, პირველ რიგში!.. პატრიარქმა თქვა, – ყველაზე მეტად ქართველობა გვაკლიაო!.. დიახ: „რა პურითა, ქართველობით განვიცდით, განვიცდი შიმშილს!“ გაიგეთ, შეიგნეთ, ამ ჭიბგადმოგდებული ქალების და ამ პედერასტების საქართველო არ იქნება არასოდეს!...“

ალია #40(2595) 24.05-25.05.211. „პირდაპირ გეუბნებით, საქართველო არის განწირული!..“  
დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ გია ყრუაშვილთან

„რეზო ამაშუკელი: დღევანდელი მსოფლიოს 70 პროცენტზე მეტი არის გაპედერასტებული, ახლა, ამ დედამიწაზე, არის დარჩენილი პატარ-პატარა კუნძულები, რომლის წამლაც უნდათ და აი, ახლა ამაზე მიდის ომი! ბოდიში მომითხოვია და ამ პედერასტების ემისარი რომ არის აյ ერთი ქალბაზონი, კამეჩის რომ ჰგავს, მე ვიცი, მაგათი „ლიბერალობა“ რაც არის... უურნალებს რომ გამოსცემენ და ერთ ამბავში არიან, პედერასტების ფულით კეთდება ეგ ყველაფერი და ამ ყველაფრის დირიჟორი, ისევ და ისევ, ბოკერიაა და ის შავი ალბინოსი – რამიშვილი... ის საცოდავი ბავშვი – სანდრო გირგვლიანი რომ მოკლეს, სინამდვილეში ამათ მაშინ ქართული ფენომენი მოკლეს.“

კვირის ქრონიკა #18 (488). „არ გიფიქრიათ ერთ რამეზე, ხალხო?!. პირდაპირ ვამბობ ამას, გეიკლუბებში ნაწილურები ახვლედიანი რომ ჩამოგიტანს იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლს, რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს იმ ცეცხლმა?..“. დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან

„რეზო ამაშუკელი: სამხედრო მანქანები გამოიყვანეს და „დიდგორი“ დაარქვეს! ვეკითხები პარანოიკ სააკაშვილს: ვინ მოგაც იმის უფლება, რომ რამეს „დიდგორი“ დაარქვა? შენ უნდა დაარქვა „ბუში“, „ბრაიზა“ და „ელტონ ჯონი!“ შენ გინდა რომ ბიჭი წამოაქციოს შუა ქუჩაში, შენ გინდა, რომ მწერალი თავის დედაზე აღიგძნოს. აი, ეს გინდა. რომ საქართველო აღარ იყოს. შენ გინდა, რომ დედაენის ძეგლი დამგვანო ფალოსს. შენ გინდა, რომ წამალო ყველაფერი ქართული. შენ არ გინდა საქართველო, ფულით გასიებულო ღორო, შენ!“

ასავალ-დასავალი #22 (869) 30.05-05.06.2011. მიმიფურთხებია ასეთი დამოუკიდებლობისათვის! მიმიფურთხებია ასეთი აღლუმისათვის! ჯაბა ხუბუა. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან.

ჰომოფობის საჯარო პოლიტიკურ დისკურსში შემოტანის კიდევ ერთი მაგალითია ტერმინი „ლიბერასტი“, რომელიც სრულად გამოხატავს პოლიტიკურ ოპონენტთა მარკირების ზემოთ აღწერილ ტენდენციას:

„ადამიანის მოდგმა უნდა გძულდეს. რომ სათანადოდ არ დააფასო და უდიდესი პატივისცემა არ გამოხატო იმ ხალხის მიმართ, ვინც დღემდე ცოცხლობს დიდ სამამულო ომში უდიდესი სისხლით მოპოვეული გამარჯვების სიხარულით! დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა ხომ არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიოც იხსნეს ფაშიზმის ჭირისგა! ამ ფაქტს ვერანაირი ლიბერასტული პროპაგანდა და სოროსული ინსინუაციები ვერ გააფერმკრთალებენ!“

ასავალ-დასავალი #19 (866) 9-15.05.2011. მარადიული თარიღი. გიორგი გიგაური.

### 1.3.4. ჰომოსექსუალობა, როგორც დევიაცია

როგორც წინა წლების მედია ანალიზმა აჩვენა, ჰომოსექსუალობა/ჰომოსექსუალები ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის სოციალური დევიაციების ჩამონათვალთან ერთად (ლოთობა, პროსტიტუცია, ქურდობა, ნარკომანია და სხვა). ამგვარ დისკურსიული სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს ჯგუფის სტიგმატიზაციას, ნეგატიური განწყობის შენარჩუნება გაძლიერებას ჯგუფის წევრთა მიმართ.

„ქეთი ფარესაშვილი: პლუს ამას, საშინელი ჭორები გავიგე.“

ეკა პატარაია (ჟურნალისტი): მართლა? რა ჭორები?

ქ.ფ.: ჭორები იყო ჩემს მსუბუქ ყოფაქცევაზე, ნარკომანობაზე, ლესბოსელობაზე; იმაზე, რომ, თითქოს, ლოთი ვარ, ისეთი, რომ დღე და დამე ქუჩაში ვგდივარ, ვითომ ბიჭები მცემენ, თმებით მითრევენ.“

ჟურნალი „თბილისელები“. 23 მაისი 2011. რა გამოიარა ქეთი ფარესაშვილმა პირად  
ცხოვრებაში და ვის გამო დაკარგა მან ბავშვი . ეკა პატარაია. ინტერვიუ ქეთი  
ფარესაშვილთან

„კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილი ინტერვიუ ლალი მოროშვინასთან მის ახალ რომანს, „უსექსობა პატარა ქალაქში“ ეხება. ავტორი, რომელიც „მაღალჩინოსანთა აღვირახსნილ პოლიტიკურ თუ სექსუალურ ვნებებზე“ მოგვითხრობს, ჰომოსექსუალობის თემასაც ეხება, რომელიც „აყვავებული კი არა, უკვე გადაყვავებულიც არის ჩვენს ქვეყანაში.“

”ლალი მოროშვინა: იცით, რომ დღეს მალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი პატარა ბიჭებზე ძალადობა?! ჰომოსექსუალიზმი ცალკე თემაა, რომელიც აყვავებულიც არის ჩვენს ქვეყანაში. მე მინდა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას: თეთრს – თეთრი, შავს – შავი, ცისფერს – ცისფერი და ვარდისფერს – ვარდისფერი... უმჯობესია ადამიანი თავისუფლად ამზობდეს, რა ორიენტაციის არის, ვიდრე რყენიდეს ახალგაზრდას მისივე სურვილის საწინააღმდეგოდ.“

კვირის პალიტრა#18 (874) 2–8.05.11 სკანდალური ლალი მოროშვინა და „უსექსობა პატარა ქალაქში“. ეკა ასათიანი. ინტერვიუ ლალი მოროშვინასთან

3 პუბლიკაცია ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტებს ეხება. ჟურნალ „თბილისელებში“ დაბეჭდილი სტატია შედარებით ნეიტრალური ტონალობისაა. რაც შეეხება დანარჩენ ორ პუბლიკაციას, გაზეთ „ქრონიკის“ #18 და #19-ში გამოქვეყნებული სტატიები თბილისის ერთ-ერთ სკოლაში არასრულწლოვანის ჯგუფური გაუპატიურების ფაქტზე მოგვითხრობს. მოძალადები იმავე სკოლის უფროსკლასელები იყვნენ. ჟურნალისტისათვის ერთი რანგის მოვლენაა „არატრადიციული სექსი“ და არასრულწლოვანზე ჯგუფური ძალადობა:

„თუ თქვენ სკოლის დირექტორი ხართ და გინდათ, პრეზიდენტმა ღირსების ორდენი გადმოგცეთ, ამისთვის საკმარისი ყოფილა, თქვენს მოსწავლეებს ერთმანეთთან არატრადიციული სექსი ჰქონდეთ. ორდენს გარანტირებულად მიიღებთ, თუ თქვენს რომელიმე მოსწავლე ბიჭს ჯგუფურად გააუპატიურებენ...“

წყაროს ინფორმაციით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ მერვეალასელ ბიჭუნას რამდენიმე უფროსკლასელ ბიჭთანაც აქვს სექსუალური ურთიერთობა. სკოლა და სკოლის მიმდებარე ტერიტორია არატრადიციული ორიენტაციის ახალგაზრდებითა სავსე და სკოლის დირექცია ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს.“

კვირის ქრონიკა # 19 (489) 10–17.05.2011. სააკაშვილმა ღირსების ორდენით ის დირექტორი  
დააჯილდოვა, რომლის მოსწავლე ბიჭიც გააუპატიურეს!!! სალომე სახოკია.

საინტერესოა, რამდენად აცნობიერებს ჟურნალისტი საკუთარ პასუხისმგებლობას, როდესაც სასურველ რესპოდენტებთან ერთად ამჯერად უკვე ჯგუფურ ვერბალურ ძალადობას ახორციელებს „დაზარალებულ ბიჭუნაზე, რომელიც ღიად აცხადებს თავისი ორიენტაციის შესახებ“:

„მერვე კლასში სწავლობს ბიჭი („ქრონიკა“ შეგნებულად არ ასახელებს ამ მოსწავლის გვარსადა სახელს. – ს.ს.) რომელსაც გარეგნობითაც ეტყობა რომ ორიენტაციაში გადახრა აქვს...“

...სხვათა შორის, „მარიოტში“ უცხოელი მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორიენტაციაარეული მოზარდიც ამ უბნის მაცხოვრებელია. ამ ყველაფერმა იმდენად შემაშინა, რომ მირჩვნია ბავშვი ტერიტორიულად მოშორებით მდებარე სკოლაში ვატარო, ვიდრე აქ გავაჩერო. ამბობენ, რომ ეს ყმაწვილი უკვე ორი წელია ამ ცხოვრებით ცხოვრობს და ვინ იცის, კიდევ სადამდე გაგრძელდებოდა, ეს ბავშვი რომ ცუდად არ გამხდარიყო და ამბავი არ გახმაურებულიყო. ის ბავშვი უკვე ჩამოყალიბებული „ცისფერია“, მაგრამ ის ბიჭებიც ხომ არ არიან დალაგებულები, ვინც მასთან დადიან? იმის მაგივრად რომ რამე იღონონ, დასახლება ისეთი დაბეჩავებულია რომ ხმას ვერ იღებს ვერავინ.

ამ სკოლის ბევრი მოსწავლე უკვე წამხდარია და კაცი ვეღარ გახდება. მაპატიეთ და ბავშვი, რომელიც ჯერ ქალთან არ ყოფილა და პირველად ბიჭთან დაამყარა ურთიერთობა, იმას ხომ უკვე გადახრა აქვს ფსიქიკაში? მე ქართველი ვარ და მაინტერესებს, ამაზე გაჩუმება შეიძლება?

კვირის ქრონიკა # 19 (489) 10-17.05.2011. სააკაშვილმა ღირსების ორდენით ის დირექტორი  
დააჯილდოვა, რომლის მოსწავლე ბიჭიც გააუპატიურეს!!! სალომე სახოკია.

### 1.3.5. ტერმინოლოგიური აღრევა

ჟურნალისტები ხშირად ურევენ ერთმანეთში ტერმინებს, რომელიც გამოხატავს გენდერულ იდენტობას, სექსუალურ ორიენტაციას და სექსუალურ ქცევას.

”უფრო შესაძლოა, რომ ეს იყო არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცი – ჰომოსექსუალი ან ტრანსვესტიტი“.

ჟურნალი „თბილისელები“. 3 მაისი 2011. აღმოჩენილია პირველი გამოქვაბულის გეი. ლაშა გაბელია


ტრანსვესტიზმი სექსუალური ქცევის ფორმაა, როდესაც ადამიანი ისწრაფვის გადაიცვას/ატაროს ტანსაცმელი, რომელსაც კონკრეტული კულტურის ნორმების მიხედვით მეორე სქესის წარმომადგენელი ატარებს. დიდი ხნის განმავლობაში მას უკავშირებდნენ ჰომოსექსუალურ ორიენტაციას. ითვლებოდა, რომ ყველა გეის სურს ატაროს ქალის, ხოლო ლესბოსელს – მამაკაცის ტანსაცმელი, რაც შორსაა რეალობისაგან. დღესდღეობით ითვლება, რომ ტრანსვესტიზმი წარმოადგენს სექსუალურ დევიაციას, რომელიც შესაძლოა ახასიათებდეს როგორც ჰომო, ისე ჰეტეროსექსუალ ადამიანს.

თავი რომ დავანებოთ შეურაცხებულ კონტექსტს, მეცნიერული თვალსაზრისით ტერმინების „პედერასტიის“ და ჰომოსექსუალობის მნიშვნელობაც გასწოვავდება ერთმანეთისაგან და სინონიმებად არ გამოდგება. პედერასტია პედოფილიის განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც არსებობს ფსიქოსექსუალური მიდრეკილება მცირეწლოვანი ბიჭების მიმართ და ითვლება სოციალური დევიაციის ფორმად, ვინაიდან აქ შეუძლებელია საუბარი ორმხრივად შეთანხმებულ სექსუალურ აქტივობაზე. გარდა ამისა, პედერასტია, ისევე როგორც ზოგადად პედოფილია კრიმინალური მოქმედებაა. ტერმინების ამგვარი აღრევა/ჩანაცვლება ხელს უწყობს ჰომოსექსუალური ორიენტაციის აღქმას სექსუალურ დევიაციად/კრიმინალურ მოქმედებად.

## 2. საუბრის ობიექტი (N=138)

საუბრის ობიექტის მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ლგბტ ჯგუფის კონკრეტული წარმომადგენლები მხოლოდ 20% შემთხვევაში არიან საუბრის ობიექტები, აქედან, ზუსტად ნახევარი (19) უცხოელი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები და/ან პოლიტიკოსები არიან. ჰომოფობია (9%) ჯერ კიდევ იშვიათად ხდება უცრნალისტთა და რესპონდენტების დაინტერესების საკითხი. 61% - შემთხვევაში კი საუბარი ეხება ჰომოსექსუალობას ზოგადად.

### 3. ადრესანტები



ნახ.6 დისკრიმინაციული ლექსიკის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ადრესანტის მიხედვით (N=54)

დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგის გამოყენების შემთხვევების 2/3 წილი რესპონდენტებზე მოდის. ასეთ შემთხვევებში, რესპონდენტის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მკაფიოდ იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან რესპონდენტის ტექსტი შურნალისტის მოსაზრებისაგან ან რედაქტორის პოზიციისაგან (სწორედ ეს გახდა შურნალისტ ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის საფუძველი ეთიკის კომისიაში 2010 წელს, როდესაც შურნალისტმა გადაცემა „ბარიერში“ მოწვეულ ერთ-ერთ სტუმრის, მალხაზ გულაშვილის მიერ გაკეთებულ ჰომოფობიურ განცხადებაზე რეაგირება არ მოახდინა). ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებში, შურნალისტები ან სრულ უნისონში არიან ჰომოფობ რესპონდენტებთან ან თავად არიან ასეთი გამონათქვამების ავტორები:

„გია ყრუაშვილი: ჩვენი მამებისა და ბაბუების დროსაც იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სექსუალური გადახრები ჰქონდათ, მაგრამ ასეთ ადამიანებს მინისტრებად და დეპარტამენტის თავმჯდომარებად კი არ ნიშნავდნენ... ყველას კისერი უტეხია, მაგრამ მე იცით, რა მაშინებს? ამ ბინძურ და აქოთებულ ადამიანებს, ტელევიზიით რეკლამას რომ უკეთებენ და ხმაშეწყობილად გაიძახიან, – უი, რა კარგია პედერასტობაო!.. აი, ეს მაშინებს, როგორც ექვსი შვილის მამასა და ბაბუას.

დიტო ჩუბინიძე (შურნალისტი): კარგით გავანებოთ თავი ამ ოჯახებამოსაწყვეტ პედერასტებს, მიტინგზე ოპოზიცია რატომ არ გამოდის?

ალია #40(2595) 24.05-25.05.211. „პირდაპირ გუბნებით, საქართველო არის განწირული!..“  
დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ გია ყრუაშვილთან

„ერთი ტალახიანი ღორი ყველას სვრის და ზუსტად ასეა ბინძური ჰომოსექსუალისტების შემთხვევაშიც. ჰოდა, საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ სულ მალე გეები და ლესბოსელები კი აღარ იქნებიან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, არამედ ნორმალური ორიენტაციის ადამიანები მოხვდებიან აბსოლუტურ უმცირესობაში.

... ასე მაგალითად, ამსტერდამის მერს ებერჰარდ ვან დერ ლაანს, რომელიც, ბუნებრივია, გამოცდილი მესაჯდომეა, საზიზღარიკანონპროექტი მოუმზადება, რომელიც მან უკვე ყველას გააცნო. დოკუმენტის თანახმად, ჰომოსექსუალიზმის შესახებ თითქმის ამომწურავი ინფორმაცია ჰილანდიელ ბავშვებს უკვე მცირე ასაკიდან უნდა ჰქონდეთ. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ წარსულში პედერასტ ჩინოვნიერს ჰომოსექსუალიზმის, როგორც დამატებითი საგნის შემოღება სურდა, თუმცა ახლა გადაიფიქრა და სპეციურსის დაწყებით კლასებში შეტანაც მოისურვა.

ზემოთმოყვანილი ციტატა რუსული ვებ–საიტიდან გადმოთარგმნილი სტატიიდანაა, მოყვანილი. თავისთავად, სტატიის პირველწყაროც ცალსახად ჰომოფობიური შინაარსისაა, თუმცა, რუსულენოვან ტექსტში ვერსად შეხვდებით მსგავს გამონათქვამებსა და შედარებებს – „გამოცდილი მესაჯდომე“, „პედერასტი ჩინოვნიკი“, „ტალახიანი ღორი“, „უგარყვნილესი ადამიანები“ და ა.შ. რაც ქართველი მთარგმნელის/ჟურნალისტის პირად ინიციატივას უნდა მივაწეროთ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟურნალისტებზე მოდის ნეიტრალურ გამონათქვამთა სრული წილიც (9). რაც შეეხება, პოზიტიურ შეფასებებს, 5–დან 3 შემთხვევაში ასეთ შედეგს ჟურნალისტების მიერ ჰომოფობის საკითხის ადამიანის უფლებათადაცვით ჭრილში გაშუქება და შესაბამისი ექსპერტების მოწვევა განაპირობებს (ლგბტ საკითხებზე მომუშავე და უფლებათადაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენლები).

## დასკვნა

საკითხის გაშუქების თვალსაზრისით, ნეგატიურ შინაარსის სტატიების რიცხვი (24) მნიშვნელოვნად ჭარბობს ნეიტრალურსა (9) და პოზიტიურს (5). სექსუალური ორიენტაცია/გენდერული იდენტობა კვლავ რჩება პოლიტიკური სპეციალისტების თემად. სექსუალური ორიენტაციის აღმნიშვნელი სიტყვები გამოიყენება ნეგატიურ კონტექსტში. ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ ხშირად გამოიყენება დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ლექსიკა. ლგბტ ჯგუფის წევრებს იშვიათად ეძლევათ თვითრეპრეზენტირების შესაძლებლობა მედიაში.

## რეკომენდაცია:

1. როგორც წესი, მედიის ყურადღების ცენტრში დისკრიმინირებული ჯგუფი ექცევა, რაც ხელს უწყობს ჯგუფის სტიგმატიზაციას, როგორც მსხვერპლისა. ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ დისკრიმინირებული ჯგუფის ან კონკრეტული ადამიანის პრობლემაა და არა მთელი საზოგადოებისა. შედეგად, ყალიბდება აზრი, რომ სექსიზმი, ანტისემიტიზმი, რასიზმი და ჰომოფობია ზემოქმედებს და ვნებს მხოლოდ იმ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს პრაქტიკა და გავლენას არ ახდენს მის მატარებელზე ან ჯგუფზე.

ევროპარლამენტის 2006 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში (European Parliament resolution on homophobia in Europe. P6\_TA(2006)0018. 18 January 2006) ტერმინი ჰომოფობია შემდეგაირადაა განმარტებული: "ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა". ჰომოფობიის, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის ერთ რანგში განხილვა ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმ სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმების მსგავსებაზე, რომლითაც აღიწერება თვითოეული ეს მოვლენა და მეორე მხრივ, ხაზს უსვავს ჰომოფობიასთან, როგორც საშიშ სოციალურ პრობლემასთან ბრძოლის მნიშვნელოვანებასა და აუცილებლობას. ჰომოფობიაზე საუბრისას მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს ის ასპექტებიც, რაც მას საზოგადოებრივ, სოციალურ პრობლემად აქცევს.

2. ჰომოფობიური შინაარსის ტექსტების ციტირებისას მნიშვნელოვანია, რომ მას თან ერთვოდეს კომენტარი ან სარედაქციო შენიშვნა რომლითაც შესაძლებელი იქნება რესპონდენტის ტექსტის ჟურნალისტის მოსაზრებისაგან ან რედაქციის პოზიციისაგან

მკაფიო გამიჯვნა. ჟურნალისტური ქარტიის მეშვიდე მუხლში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ჟურნალისტის პასუხისმგებლობა ასეთ სიტუაციაში სამოქმედოდ: “ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

3. ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ჯგუფი არ წარმოადგენს ჰარმოგენურ ჯგუფს. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი აღწერს ქალის/მამაკაცის სექსუალურ ორიენტაციას და განისაზღვრება ლტოლვის ობიექტის სქესის მიხედვით. ტრანსგენდერობა (ისევე, როგორც ტრანსვესტიზმი) არ უკავშირდება სექსუალურ ორიენტაციას და წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის შეუთავსებლობას მის ბიოლოგიურ სქესთან. ტრანსგენდერს, ისევე როგორც ყველას, შესაძლოა ჰქონდეს სამიდან ერთ-ერთი ორიენტაცია – ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.
4. სექსუალური ორიენტაცია არ შეიძლება იყოს ტრადიციული ან არატრადიციული. ტრადიცია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ და თაობაზე გადაცემული წარმოადგენების, ადათების, წესების, ქცევის ნორმების ერთობლიობას. გარკვეული ტიპის სექსუალური ქცევა შესაძლოა მისაღები იყოს ან არ იყოს სხვადასხვა საზოგადოებებში და დამოკიდებულება მათ მიმართ იცვლება დროთა განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ქცევა წარმოადგენს სექსუალური ორიენტაციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, სექსუალური ორიენტაცია არ დაიყვანება სექსუალურ ქცევაზე.
5. სამიებო სიტყვების ერთი ნაწილი, რომელიც გამოიყენება სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის აღსანიშნავად (გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი, ჰომოსექსუალობა, ლგბტ, სექსუალური ორიენტაცია)
  
6. სექსუალური ორიენტაცია წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის ბუნების შემადგენელ ნაწილს და განირჩევა კონკრეტული გენდერის მიმართ მდგრადი ემოციური, რომანტიკული, სექსობრივი და სასიყვარულო ლტოლვის მიხედვით. განასხვავებენ სამი სახის სექსუალურ ორიენტაციას: ჰომოსექსუალური, რომელიც გულისხმობს ლტოლვას თავისივე სქესის წარმომადგენლებისაკენ, ჰეტეროსექსულური – ლტოლვა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებისაკენ და ბისექსულური – ლტოლვა ორივე სქესის წარმომადგენლებისაკენ. რაც შეეხება ტრანსგენდერს/ტრანსექსუალს, ტერმინი გამოიყენება გენდერული იდენტობის აღსაწერად. ტრანსგენდერულობა განმარტებულია როგორც ადამიანის ფსიქოლოგიური სქესის მყარი შეუსაბამობა მის ბიოლოგიურ სქესთან.
7. ლგბტ ჯგუფის წევრებზე / საკითხებზე საუბრისას ჟურნალისტები უნდა მოერიდონ ისეთი დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას: „ცისფერი“, „პედერასტი“, „მესაჯდომე“, „გადახრილი ორიენტაცია“, „არატრადიციული ორიენტაცია“, „ორიენტაციაარეული“ და სხვ.
8. ჰომოსექსუალობა არ წარმოადგენს ფსიქიკურ დაავადებას ან ემოციურ პრობლემას. 1973 წელს „ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ“ ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ აშლილობათა სიიდან ამოიღო, რითაც აღიარა, რომ ჰომოსექსუალობა ადამიანის სექსუალობის გამოხატვის მისაღები ფორმაა. 1975 წელს ამ გადაწყვეტილებას „ამერიკის ფსიქიოლოგთა ასოციაციაც“ მიუერთდა, 1990 წელს კი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) დაადასტურა ეს გადაწყვეტილება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში (მე-10-ე შესწორება) შესაბამისი ცვლილების შეტანით. (International Classification of Diseases (10). Chapter V. Mental and behavioural disorders (F00-F99). Disorders of adult personality and behaviour (F60-F69). F66. Psychological and behavioural disorders associated with sexual

development and orientation. სადაც ჩამონათვალს თან ერთვის შენიშვნა: “სექსუალური ორიენტაცია თავისთავად არ განიხილება აშლილობად” / “Sexual orientation by itself is not to be regarded as a disorder”. <http://apps.who.int/classifications/apps/icd/icd10online/>

ეკა აღდგომელაშვილი

04.06.2011

## დანართი: 1

1. გაზეთი „24 საათი“. 1 მაისი 2011. მკაცრი ისლამი განზე რჩება. ტიმ არანგო
2. გაზეთი „24 საათი“. 22 მაისი 2011. ჯონ მალკოვიჩი: "ერთი უბრალო ბიჭი ვარ". თარგმნა რუსუდან ქართველიშვილმა
3. გაზეთი „24 საათი“. 22 მაისი 2011. პირველი ონლაინ და ინტერაქტიული წიგნი. მარიამ ყიასაშვილი.
4. გაზეთი „ალია“ #35 (2590) 10–11.05.2011. ევროპას ბავშვებისთვის ჰომოსექსუალიზმის „დადებითი მხარეების“ გაზიარება სურს. [folksland.net](http://folksland.net).
5. ალია #36 (2591) 12–16.05.2011 . „გაუმარჯოს ტაშტების რევოლუციას“. დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ თამაზ წივწივაძესთან
6. გაზეთი „ალია“ #39. რა ხდება სამხედრო ნაწილებში მას შემდეგ, რაც ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ჯარი ხალხს არ დაუპირისპირდება?
7. გაზეთი „ალია“ #40(2595) 24.05–25.05.211. „პირდაპირ გეუბნებით, საქართველო არის განწირული!..“ დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ გია ყრუაშვილთან
8. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #18 (865). 2–8.05.2011 ლიბიის ქალაქების დაბომბვისათვის განგებამ ამერიკა დამანგრეველი ქარიშხლით დასაჯა! გიორგი გიგაური. ინტერვიუ თემურ მირიანაშვილთან
9. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #19 (866) 9–15.05.2011. მარადიული თარიღი. გიორგი გიგაური.
10. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #20 (867) 16–22.05.2011 წერილი მეორე. ხელს ვადებ! ბექა სივსივაძე. ინტერვიუ გურამ პეტრიაშვილთან
11. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #20 (867) 16–22.05.2011 "იცით რა მიკვირს? სომხები, საერთოდ, ჭკვიანი ხალხია და ეს შიშველი გადარეული ასე რამ გამოაკრეტინა?
12. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #21 (868) 23-29.05.2011. ეს იყო აშშ–ის პირველი დარტყმა პრეზიდენტ სააკაშვილზე! ინტერვიუ არნო ხიდირბეგიშვილთან
13. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #21 (868) 23-29.05.2011. რობიკის სტურუამ ხმამაღლა თქვა ის, რაც ქართველ ხალხს გულში ქონდა და ამას ვამზობ მეც: დიახ, სააკაშვილი არის სომები და ეს არის არა ქსენოფობია, არამეც ფაქტი! ჯაბა ხუბუა. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან.
14. გაზეთი „ასავალ–დასავალი“ #22 (869) 30.05–05.06.2011 "ამერიკის ელჩმა თავის ბლანქეზე ჩამოიწმინდა ქართველების სისხლი! გამაგებინეთ, რითი სჯობს ჯონ ბასი როდიონოვს?". ჯაბა ხუბუა.
15. გაზეთი „კვირის პალიტრა“ #18 (874) 2–8.05.11 სკანდალური ლალი მოროშვინა და „უსექსობა პატარა ქალაქში“. ეკა ასათიანი. ინტერვიუ ლალი მოროშვინასთან
16. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ #18 (488). 2–9.05.2011 "არ გიფიქრიათ ერთ რამეზე, ხალხო?!. პირდაპირ ვამზობ ამას, გეიკლუბებში ნაწილურები ახვლედიანი რომ ჩამოგიტანს იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლს, რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს იმ ცეცხლმა?...". დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან
17. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ #18 (488). 2–9.05.2011 რატომ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 94–ე სკოლის მოსწავლის გაუპატიურების შემდეგ? სალომე სახოვაძა.
18. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ # 19 (489) 10–17.05.2011. სააკაშვილმა ღირსების ორდენით ის დირექტორი დააჯილდოვა, რომლის მოსწავლე ბიჭიც გააუპატიურეს!!! სალომე სახოვაძა.
19. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ # 22 (492) 30.05–05.06.2011. "ახალაიამ მოულოდნელად შარვლის "ზეიკა" ჩაიხსნა და ღრიალით გამოგვიცხადა, -ხეხეთ ტუალეტები და ჩვენ წინააღმდეგ კრინტის დამვრა არ გაბედოთ, თორემ აი, ამაზე მოგიწევთ დაჯდომაო!....". დიტო ჩუბინიძე.
20. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ # 22 (492) 30.05–05.06.2011. "სპეცნაზელებმა პრეზერვატივები წამოაცვეს "დუბინკებზე" და პატარა ბიჭები, რომლებიც მიტინგზე დაიჭირეს, გააუპატიურეს". დიტო ჩუბინიძე. ინტერვიუ გია ყრუაშვილთან.
21. გაზეთი „რეზონანსი“ #//. 27 მაისი 2011. რიანასა და სპირსის კოცნას აპროტესტებენ

22. ჟურნალი ”ტაბულა“. 01 მაისი 2011. გამთანაბრებლობა VS შემწყნარებლობა. ელენე კვანჭილაშვილი
23. ჟურნალი ”ტაბულა“. 05 მაისი 2011. არა იბოზო! ზაზა ბურჭულაძე
24. ჟურნალი ”ტაბულა“. 06 მაისი 2011. ბრაზილიაში ერთსქესიან წყვილებს ახალი უფლებები მიანიჭეს.
25. ჟურნალი ”ტაბულა“. 06 მაისი 2011. ნინო მაჭარაშვილი. ინტერვიუ გიორგი ტუღუშთან.
26. ჟურნალი ”ტაბულა“. 20 მაისი 2011. კომბოსტოდან კონდომამდე. თამარ ჩერგოლეიშვილი.
27. ჟურნალი ”ტაბულა“. 23 მაისი 2011. რას იტყოდა უცნაური ემილი? ნინო მაჭარაშვილი
28. ჟურნალი ”ტაბულა“. 30 მაისი 2011. სიცოცხლის მეჯლისი სამყაროს დასასრულის დღეს. ქეთო გიორგობიანი.
29. ჟურნალი „თბილისელები“. 3 მაისი 2011. პოლიტიკური კალეიდოსკოპი. უშანგი რუხაძე
30. ჟურნალი „თბილისელები“. 3 მაისი 2011. აღმოჩენილია პირველი გამოქვაბულის გეი . ლაშა გაბელია
31. ჟურნალი „თბილისელები“. 3 მაისი 2011. რატომ შეიძლება იყოს სექსუალური გადახრები და კავშირებული შიზოფრენიასთან და არის თუ არა ლიბიდოს აქტივობა მემკვიდრული ფაქტორით გამოწვეული. ქეთი დიდებულიძე. ინტერვიუ გია ბერიშვილთან.
32. ჟურნალი „თბილისელები“. 24 მაისი 2011. რა გამოიარა ქეთი ფარესაშვილმა პირად ცხოვრებაში და ვის გამო დაკარგა მან ბავშვი . ეკა პატარაია. ინტერვიუ ქეთი ფარესაშვილთან
33. ჟურნალი „თბილისელები“. 24 მაისი 2011. ვისგან ეყოლა შვილი ელტონ ჯონს და ვის დაუკავშირა ბედი ცნობილმა დიზაინერმა ტომ ფორდმა . უშანგი რუხაძე
34. ჟურნალი „თბილისელები“. 24 მაისი 2011. მამაკაცების მიმზიდველობის საიდუმლო მათ ხელებშია. ლაშა გაბელია
35. ჟურნალი „თბილისელები“. 24 მაისი 2011. როგორ აუპატიურებდა არასრულწლოვან ბავშვებს 36 წლის მამაკაცი. ეკა ბარაბაძე
36. ჟურნალი „თბილისელები“. 24 მაისი 2011. რომელ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს ეპატაჟური ლედი გაგა და ვის დასახმარებლად შეაგროვა ერთი მილიონი დოლარის შემოწირულობა ალიშა ქისმა. უშანგი რუხაძე
37. ჟურნალი „თბილისელები“. 31 მაისი 2011. რის გამო არ იწვენს საწოლში ბისექსუალებს მეგან ფოქსი და როგორი ქალები არ იზიდავენ ანჯელინა ჯოლის. უშანგი რუხაძე
38. ნეტგაზეთი. 17 მაისი 2011. ლია ჯაყელი: „კულტურა ძალადობს ადამიანზე“

რადიო თავისუფლება. 11 მაისი 2011. პომოფობია კლავს! დისკუსია. ავტორი ეკა ქევანიშვილი.



მედიის განვითარების ფონდი